



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება № 386

თბილისი

„01“ „11“ 2018წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის - საკოორდინაციო საბჭოს წევრების დანიშვნის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-5 პუნქტისა და 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №468 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის N89/ნ ბრძანების მე-2 პუნქტით დამტკიცებული დებულების 5¹ მუხლის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის 2018 წლის 22 ოქტომბრის N1357417 წერილის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის - საკოორდინაციო საბჭოს წევრებად დაინიშნონ:

ა) მიხეილ ბატიაშვილი - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი;

ბ) გიორგი შარვაშიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი;

გ) გიგა ზედანია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი;

დ) არჩილ ფრანგიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი;

ე) გიორგი ღავთაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი;

ვ) ზურაბ ვადაჭკორია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი;

ზ) დავით კერესელიძე - ა(ა)იპ - „ნიუ ვიჟენ-უნივერსიტეტის“ აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე;

თ) მანანა კაპუტივაძე - სსიპ - ქალაქ ბაღდათის №2 საჯარო სკოლის მასწავლებელი;

ი) ანი ქიტიაშვილი - ფსიქოლოგიის დოქტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

კ) ნინო ზამბახიძე - ა(ა)იპ - საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარე;

ლ) ქეთევან ბოჭორიშვილი - სს - „ანაკლია სითის“ აღმასრულებელი დირექტორი;

მ) სუზან კალდშმიდტი - EFQM-ის ლიცენზირებული ტრენერი.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).



მიხეილ ბატიაშვილი



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება № 234

თბილისი

„ 28 „ 02 2019 წ.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის - საკოორდინაციო საბჭოს წევრების დანიშვნის შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 01 ნოემბრის N386 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 27 თებერვლის N242246 წერილის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის - საკოორდინაციო საბჭოს წევრების დანიშვნის შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 01 ნოემბრის N386 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტის:

ა) „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) როლანდ კოპალიანი - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი;“.

ბ) „მ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ნ“ ქვეპუნქტი:

„ნ) გიორგი ქურდიანი - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დოქტორანტი.“.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

ორინე აბულაძე
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი